ხელშეკრულება № 68

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 27 მაისი 2019 წ.

ერთი მხრივ, სსიპ „**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო**" (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლევან ძნელაძის სახით და მეორე მხრივ, **შპს "მაგთიკომი"** (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის გია კოშორიძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები",

ვმოქმედებთ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის #1805 განკარგულების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 მომსახურება" _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევა - მითითებული მისამართების TCP/IP შეერთებას და სხვა თანმდევი მომსახურებების გაწევას - სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" 3 ობიექტზე დანართი #1 -ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (CPV კოდი - 64200000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **4807,04 (ოთხი ათას რვაას შვიდი ლარი და 4 თეთრი)** ლარს.

3.1 თუ შემცირდება ხელშეკრულებაში მითითებული სატელეკომუნიკაციო მომსახურების ფასები, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის შეთავაზებული ფასების კორექტირება არსებული საბაზრო ფასების მიხედვით, რომელიც შეიძლება იყოს ნაკლები ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ერთეულის ფასებთან შედარებით და არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ერთეულის ფასებს.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ გადასახადებს.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა უფლებამოვალეობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული მომსახურების გაწევა 2019 წლის 01 ივნისიდან 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) უზრუნველყოს N1 დანართში ჩამოთვლილი მომსახურებებით უზრუნველყოფა დანართ N2-ში მითითებული ტარიფებით, ასევე არხების მიმართულებებით შემსყიდველის ობიექტებს შორის კავშირი და მისცეს საშუალება მას უზრუნველყოს მიმწოდებლის აპარატურის ინტერფეისი საკუთარ აპარატურასთან.

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს და საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს შპს „მაგთიკომი"-ს ქსელის მშენებლობის პროცესში;

ბ) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გადაცემული აპარატურის მოვლა და დაცვა;

გ) ნებისმიერ დროს დაუშვას და მისცეს საშუალება მიმწოდებლის უფლებამოსილ თანამშრომლებს განახორციელონ შემსყიდველის წერტილებზე დამონტაჟებული აპარატურის გეგმიური პროფილაქტიკური რემონტი თუ სხვა სამუშაოები;

დ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

5.1 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ: სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სტრატეგიული განვითარების სამსახურის ტექნოლოგიური განვითარების განყოფილების უფროსი - ბეჟან შარაშიძე და ამავე განყოფილების IT სპეციალისტი - ვაჟა ჩალაური, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს შესყიდვის ობიექტის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება დასტურდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის და შემსყიდველის მიერ დადასტურების საფუძველზე. ანგარიშფაქტურა დასტურდება, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8 ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

8.2 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო 25 (ოცდახუთი) რიცხვისა."

9 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის პირგასამტეხლოს თანხის ანაზღაურება.

10.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა წერილობით გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12 სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 01 ივნისიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

15 ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი

ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, მიმწოდებლის საკომუნიკაციო ქსელის გადატვირთვებით, შეფერხებებით ფიჭურ მობილური ქსელის ფუნქციონირებისას და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ფორმდება ელექტრონულად, რომლის ყველა ეგზემპლარი ორიგინალია.

17 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
მისამართი: ქ. თბილისი, გულუას ქუჩა №4 , ტელეფონი: 2601 601, საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №707027501, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-205081249

მიმწოდებელი

შპს „მაგთიკომი",
მისამართი: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქუჩა №7, ტელეფონი: 217-17-17, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. GE73VT6600000000423607, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"-ს ცენტრალური ფილიალი, კოდი UGEBGE22, სკ-204876606.

ლევან ძნელაძე
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გია კოშორიძე
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე

MagtiCom LLC Digitally signed by MagtiCom LLC
Date: 2019.05.27 16:49:50 +04'00'

დანართი #1

IP კავშირის მომსახურება

#	მისამართი	მომსახურების გაწევის ვადები	სიჩქარე მბ/წმ	თვე	1 თვის ფასი	საერთო ფასი
1	ქ. სამტრედია, აღმაშენებლის გამზირი, მე-6 ჩიხი	01.06.2019 - 30.09.2019	8	4	513,48	2053,92
2	ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია	01.06.2019 - 30.09.2019	3	4	360,53	1442,12
3	ქ. თბილისი, იაშვილის ქუჩა #4	01.06.2019 - 30.09.2019	2	4	327,75	1311
	სულ ფასი					4807,04

მომსახურების სახეები და ტარიფები

ფასები მოცემულია ლარებში(დღის ჩათვლით)

შიდა ქსელის ტრაფიკის სიჩქარე	ყოველთვიური სააბონენტო, ლარი დღგ-ს ჩათვლით	წერტილის გადატანის გადასახადი, ლარი დღგ-ს ჩათვლით
512 კბ/წმ	218.50	300
1 მბ/წმ	273.13	
2 მბ/წმ	327.75	
3 მბ/წმ	360.53	
4 მბ/წმ	404.23	
5 მბ/წმ	437.00	
6 მბ/წმ	453.39	
7 მბ/წმ	469.78	
8 მბ/წმ	513.48	
9 მბ/წმ	529.86	
10 მბ/წმ	546.25	
15 მბ/წმ	600.88	
20 მბ/წმ	655.5	
25 მბ/წმ	710.13	
30 მბ/წმ	764.75	
40 მბ/წმ	874.00	
50 მბ/წმ	983.25	
60 მბ/წმ	1092.50	
80 მბ/წმ	1147.10	
100 მბ/წმ	1201.80	
120 მბ/წმ	1256.40	

- **ტექნიკური ჯგუფის გამოძახება ოპერატორის ბრალეულობით გამოწვეული ხარვეზის შემთხვევაში - უფასო**
- **ტექნიკური ჯგუფის გამოძახება დამკვეთის ბრალეულობით გამოწვეული ხარვეზის შემთხვევაში - 300 ლარი დღგ-ს ჩათვლით.**